

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების განმახორციელებელ
დაწესებულებებში ინკლუზიური
განათლების უზრუნველყოფის
გზამკვლევი

სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლის
შედეგების შეფასება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევზე მუშაობდა მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

2020

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება

- შეფასების მნიშვნელობა
- სტუდენტის შეფასება და დიფერენცირებული მიდგომები შეფასების პროცესში
- შეფასების ადაპტაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის
- შეფასების პროცედურის დადგენა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის
- შეფასების ფორმები
- დანართი N1: შეფასების სტანდარტული ფორმა
- დანართი N2: შეფასების აკომოდაციის ნიმუშები
- დანართი N3: სწავლის შედეგების და შესრულების კრიტერიუმების ასახვა (ვერსია 1-2)
- დანართი N4: შეფასების ადაპტირებული ფორმა (ვერსია 1-2)

შეფასების მნიშვნელობა

პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, პროფესიული სტუდენტები ფასდებიან უკლებლივ ყველა მოდულის ფარგლებში.

შეფასების შედეგად, ხდება გადამოწმება, შესძლო თუ არა სტუდენტმა მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევა. სტუდენტი ფასდება თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით მოდულის მსვლელობისას და / ან მის დასასრულს. მხოლოდ ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში ეთვლება სტუდენტს მოდული დაძლეულად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული თითოეული მოდულის დაძლევა მნიშვნელოვანია, რადგან პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროგრამით განსაზღვრული უკლებლივ ყველა მოდულს დაძლევის შემთხვევაში ხდება.

ამავდროულად, ზოგიერთ შემთხვევაში, მოცემული მოდული წარმოადგენს პროფესიული პროგრამით განსაზღვრული სხვა მოდულის წინაპირობასაც. შესაბამისად, მომდევნო მოდულზე გადასვლის უფლების მოსაპოვებლად, სტუდენტს მოეთხოვება მოცემული მოდულის სრულად დაძლევის დადასტურება.

სხვაგვარადაა საქმე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებთან. აღნიშნული სტატუსის საფუძველზე, მათ მოდულის არასრულად დაძლევის ან გამოტოვების

პირობებშიც არ ეზღუდებათ მომდევნო მოდულზე სწავლის გაგრძელების უფლება. თუმცა, აღნიშნული დაშვება თავისთავად აისახება სტუდენტის მიერ კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობაზე. მიუხედავად ამისა, თითოეული მოდულის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შეფასება და მისი პროგრესისთვის თვალის მიდევნება მნიშვნელოვანია. ამ გზით ხდება ნათელი თუ რომელი სწავლის შედეგები დაძლია სტუდენტმა და როგორია მისი მიღწევის დონე, რომელი ახალი სწავლის შედეგის დაუფლების მზაობა დადგა და რა დონით, რა რისკები არსებობს მომდევნო სწავლის შედეგებთან თუ მოდულთან მიმართებით და ა.შ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიღწევების წარმოჩენა აუცილებელია დამსაქმებელთან სამართლიანი ურთიერთობის დასამყარებლად. სტუდენტის მიღწევების ზედმიწევნით დოკუმენტირება გაუიოლებს დამსაქმებელს მიუკერძოებლად შეაფასოს ფლობს თუ არა პროფესიული განათლების კურსდამთავრებული მისთვის სასურველ პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

პროფესიული სტუდენტის შეფასება და დიფერენცირებული მიდგომები შეფასების პროცესში

როგორც აღინიშნა, სტუდენტი ყოველი მოდულის ფარგლებში ფასდება მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან მიმართებით.

სტანდარტულ პირობებში, სტუდენტის შეფასების დასაგეგმად, პროფესიულის მასწავლებელი ხელმძღვანელობს მოდულის სტანდარტული ჩანაწერებით, სადაც თითოეული სწავლის შედეგისთვის მოდულის ავტორების მიერ წინასწარ არის განსაზღვრული ყოველი სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმი და შეფასების მიმართულება. მასწავლებელს ევალება შეფასების მიმართულების საფუძველზე გადაამოწმოს აკმაყოფილებს თუ არა სტუდენტი მოცემულ შესრულების კრიტერიუმებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი N1 ასახავს აღნიშნულ სტანდარტულ ჩანაწერებს კონკრეტული მოდულების ფარგლებში.

მოდული: ხის ნაკეთობათა შეკეთება

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	შეფასების მიმართულება
1. სარესტავრაციო ხის ნაკეთობის დაზიანებების დადგენა	1. დავალების შესაბამისად ადგენს დაზიანებული დეტალების მდგომარეობას; 2. დავალების შესაბამისად ადგენს ნაკეთობის შემადგენელი მასალების სახეობას; 3. დავალების შესაბამისად გეგმავს ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობას.	პრაქტიკული დავალება
2. სარესტავრაციო - აღდგენითი სამუშაოების შესრულება	1. შემუშავებული გეგმის მიხედვით ირჩევს სარესტავრაციო ნაკეთობის მასალებს; 2. შემუშავებული გეგმის მიხედვით ახორციელებს ნაკეთობის დაშლას (მთლიანი, ნაწილობრივ); 3. შემუშავებული გეგმის მიხედვით ასრულებს დაზიანებული დეტალების თარგებს; 4. შემუშავებული გეგმის მიხედვით ახდენს დაშლილი დეტალების დასუფთავებას; 5. შემუშავებული გეგმის მიხედვით ასრულებს დეტალებისაგან კვანძების აწყობას; 6. შემუშავებული გეგმის მიხედვით ასრულებს დეტალებისა და კვანძებისაგან ნაკეთობის აწყობას; 7. შემუშავებული გეგმის მიხედვით ახორციელებს დაშლილი ან აწყობილი ნაკეთობის მოპირკეთებას.	პრაქტიკული დავალება

მოდული: რაოდენობრივი წიგნიერება

სწავლის შედეგები	სტანდარტული შესრულების კრიტერიუმები	შეფასების მიმართულება
3. მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების ინტერპრეტირება	1. სწორად განმარტავს მონაცემთა შეგროვების ხერხებს; 2. სწორად განმარტავს თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობას; 3. დავალების შესაბამისად განსახვავებს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს; 4. დავალების შესაბამისად განმარტავს მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების მნიშვნელობას; 5. დავალების შესაბამისად მონაცემთა გრაფიკულ გამოსახულებას უკეთებს მარტივ ინტერპრეტირებას.	გამოკითხვა

შეფასების დაგეგმვის პროცესში, პროფესიულის მასწავლებელს ევალება დააზუსტოს შეფასების მიმართულება და განსაზღვროს ის მეთოდი/ინსტრუმენტები და დავალებები, რითიც ის გადაამოწმებს ავლენს თუ არა სტუდენტი იმ უნარ-ჩვევებს და ცოდნას, რაც კონკრეტული სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმად არის განსაზღვრული.

სტანდარტულ პირობებში, თუკი მოდულის (სტანდარტული) ჩანაწერი შეფასების მიმართულების შესახებ ზოგადია, მასწავლებელს შეუძლია დააზუსტოს ის და თავად განსაზღვროს შეფასების მეთოდი/ინსტრუმენტი. მაგ. თუკი შეფასების მიმართულებად განსაზღვრულია გამოკითხვა, მასწავლებელი თავისი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას გამოკითხვა იყოს ზეპირი თუ წერიითი; შეიმუშავოს ტესტი ღია

შეკითხვებით თუ ალტერნატიული პასუხებით. ასევე, თუკი შეფასების მიმართულებად განსაზღვრულია პრაქტიკული დავალების შესრულება, მასწავლებელი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს თუ რის შესრულებას დაავალებს სტუდენტს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის დასადასტურებლად.

შეფასების დავალებების განსაზღვრის და შემუშავების პროცესში, განისაზღვრება ასევე მტკიცებულებები, რომლებიც სტუდენტის შეფასების შედეგად შეიქმნება და შეინახება. შეფასების მიმართულების დაზუსტების პროცესში, მასწავლებელი ორიენტირებულია, განსაზღვროს ისეთი შეფასების მეთოდი და დავალება, რაც მტკიცებულების ფორმატში შეფასების პროცესის დასრულების შემდეგაც შეინახება.

დანართში N1 მოცემულია კონკრეტული სწავლის შედეგის შესაფასებლად განსაზღვრული შეფასების ფურცელი და ინსტრუმენტი, რომელიც ასახავს აკმაყოფილებს თუ არა სტუდენტი აღნიშნული სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმებს.

სტუდენტს ევალება, მასწავლებლის მიერ განსაზღვრული დავალების შესრულების საფუძველზე, დაადასტუროს მიაღწია თუ არა მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და წარმოადგინოს მტკიცებულება - შევსებული ტესტი, შექმნილი პროდუქტი, განხორციელებული პროცესი. აღნიშნული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი ობიექტურად იმსჯელებს შესძლო თუ არ სტუდენტმა განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების დაკმაყოფილება და შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევა.

პროფესიული მოდულები იძლევა შესაძლებლობას მასწავლებელმა შეფასების პროცესში გამოიყენოს დიფერენცირებული მიდგომები და მოდულის სტანდარტული ჩანაწერის ფარგლებში კონკრეტული სწავლის შედეგის შესაფასებლად სტუდენტებისთვის განსაზღვროს შეფასების არა იდენტური მეთოდები / დავალებები.

მაგალითად, თუკი მოდულის სტანდარტული ჩანაწერი მოითხოვს, კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა გადამოწმდეს გამოკითხვით, მასწავლებელს, აქვს უფლება დაეყრდნოს საკუთარ კომპეტენციას და თავად განსაზღვროს:

- მთელი ჯგუფის გამოკითხვა განახორციელოს წერითი ფორმით (და არ გამოიყენოს ზეპირი გამოკითხვა);
- ჯგუფის ნაწილი გამოკითხოს ზეპირად, ხოლო ნაწილს დაავალოს წერითი დავალების შესრულება;
- ჯგუფისთვის გამოკითხვა განახორციელოს წერითი ფორმით, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის - ზეპირი ფორმით (ან პირიქით).

სწავლის შედეგები	სტანდარტული შესრულების კრიტერიუმები	შეფასების მიმართულება
3. მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების ინტერპრეტირება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს მონაცემთა შეგროვების ხერხებს; 2. სწორად განმარტავს თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობას; 3. დავალების შესაბამისად განასხვავებს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს; 4. დავალების შესაბამისად განმარტავს მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების მნიშვნელობას; 5. დავალების შესაბამისად მონაცემთა გრაფიკულ გამოსახულებას უკეთებს მარტივ ინტერპრეტირებას. 	<u>გამოკითხვა</u>

ამ მოქნილობის შესაძლებლობას, მასწავლებელს აძლევს მოდულში არსებული ზოგადი ჩანაწერი - გამოკითხვასთან დაკავშირებით. მოდულში არ არის დაზუსტებული გამოკითხვა უნდა იყოს ზეპირი თუ წერიტი. შესაბამისად, არჩევანი მასწავლებელზეა.

შეფასების ამგვარი დიფერენცირებული მიდგომები ერთი ჯგუფის და სწავლის შედეგის ფარგლებში სრულიად დასაშვებია, თუკი მასწავლებლის მიერ განსაზღვრული შეფასების მეთოდი არ ეწინააღმდეგება მოდულით განსაზღვრულ სტანდარტულ ჩანაწერს, რომელიც დადგენილია აღნიშნული სწავლის შედეგის შესაფასებლად.


ამავდროულად, მასწავლებელი თავისუფალია თავად განსაზღვროს თითოეულ სწავლის შედეგს ის ცალ-ცალკე შეაფასებს, თუ რამდენიმე შედეგს ერთად ინტეგრირებულად ერთი დავალების ფარგლებში. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მასწავლებელი იღებს მოდულის და სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე სტუდენტთა ჯგუფის დინამიკის გათვალისწინებით.

შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან მასწავლებელი ათანხმებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან.

შეფასების ადაპტაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის

დასაშვებია შეფასების პროცესში დამატებითი ცვლილებების შეტანა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. ბუნებრივია, ამგვარი საჭიროებები თავს იჩენს მაშინ, როდესაც სტუდენტის სასწავლო პროცესი ინდივიდუალურ დაგეგმვას მოითხოვს გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით.

სტანდარტულად განსაზღვრულ შეფასების პროცესში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ადაპტაციის სახელითაა ცნობილი. **შეფასების პროცესის ადაპტაცია** ორგვარია და გულისხმობს შეფასების პროცესის **აკომოდაციას** და შეფასების პროცესის **მოდიფიკაციას**.
























აკომოდაციაში მოიაზრება შეფასების პროცესის იმგვარი ცვლილებები, რომელიც არ გულისხმობს შესაფასებელი მიზნის, შესაფასებელი საკითხის და / ან შესრულების კრიტერიუმის ცვლილებას. შეფასების აკომოდაციის დროს, მასწავლებელი არ ცვლის მოდულის სტანდარტული ჩანაწერით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, სტუდენტი ფასდება სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგთან და შესრულების კრიტერიუმთან მიმართებაში. აკომოდაციის დროს ცვლილებას უპირატესად განიცდის შეფასების პროცედურა და გარემო.

შეფასების აკომოდაციების მაგალითებია:

- შეფასების პროცესში სტუდენტისთვის სამუშაოდ განსაზღვრული დროის გახანგრძლივება;
- შრიფტის გაზრდა იმ წერითი მასალისთვის, რომელსაც გამოიყენებს სტუდენტი შეფასების პროცესში (ტესტი, ამოცანის პირობა, ამონარიდი);
- შეფასებისას მუშაობის პროცესში შესვენების შესაძლებლობა;
- წერითი გამოკითხვა, ნაცვლად ზეპირი გამოკითხვისა, ან პირიქით;
- ხელნაწერის ნაცვლად ელექტრონული მასალის დაშვება;
- ნაწერის ნაცვლად, აუდიო ჩანაწერის შექმნა;
- ტესტში ღია შეკითხვების ნაცვლად დახურული შეკითხვების და არჩევითი პასუხების შეტანა;
- ტესტში არჩევით პასუხებად ნაწერის ნაცვლად, გამოსახულებების შეტანა
- და ა.შ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი, წარმოაჩენს ტესტის აკომოდაციის ნიმუშებს

<p>ტესტის სტანდარტული დავალება</p> <p>ჩამოთვალე ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:</p> <ol style="list-style-type: none">1.2.3.4.														
<p>ტესტის დავალების აკომოდაცია</p> <p>მონიშნე ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:</p> <ul style="list-style-type: none"><input type="checkbox"/> წყლის სათვალე<input type="checkbox"/> ჩაფხუტი<input type="checkbox"/> საცურაო ქუდი<input type="checkbox"/> სპეცტანსაცმელი<input type="checkbox"/> საცურაო ფილეტი<input type="checkbox"/> დამცავი ნიღაბი<input type="checkbox"/> დამცავი სათვალეები<input type="checkbox"/> ხელთათმანები														
<p>ტესტის დავალების აკომოდაცია</p> <p>მონიშნე ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:</p> <table border="0"><tr><td><input type="checkbox"/></td><td></td><td><input type="checkbox"/></td><td></td><td><input type="checkbox"/></td><td></td><td><input type="checkbox"/></td><td></td></tr><tr><td><input type="checkbox"/></td><td></td><td><input type="checkbox"/></td><td></td><td><input type="checkbox"/></td><td></td></tr></table>	<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>	
<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>								
<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>		<input type="checkbox"/>										

მოდულიზაციაში მოიაზრება შეფასების პროცესში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ეხება შეფასების მიზანს - ანუ სწავლის შედეგს, შესრულების კრიტერიუმს და შეფასების მიმართულებას.

შეფასების მოდიფიკაციის საჭიროება დგება, თუკი სტუდენტის სასწავლო პროცესი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიმდინარეობს და აღნიშნული გეგმის ფარგლებში სტუდენტისთვის ინდივიდუალურად არის დაზუსტებული სწავლის შედეგი და შესრულების კრიტერიუმი, ანუ სწავლის შედეგი და შესრულების კრიტერიუმი იმთავითვე მოდიფიცირებულია.

შესაბამისად, მოდიფიცირებული სწავლის შედეგების და შესრულების კრიტერიუმების შეფასება მოდიფიცირებული იქნება.

ზღვარი აკომოდაციასა და მოდიფიკაციას შორის

შეფასების პროცესის დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა და ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერმა გუნდმა ყურადღებით გააანალიზოს შეფასების პროცესში გატარებული ცვლილებები და სწორად განსაზღვროს, შეფასების პროცესმა განიცადა აკომოდაცია, თუ გატარებული ცვლილებები მოდიფიკაციას გულისხმობს.

გვახსოვდეს, ის ცვლილება, რომელიც ერთ შემთხვევაში აკომოდაციაა, სხვა შემთხვევაში მოდიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს. განვიხილოთ მაგალითები:

შეფასების პროცესში სტუდენტისთვის სამუშაოდ განსაზღვრული დროის გახანგრძლივება და შესვენების შესაძლებლობის მიცემა

მაგალითი 1: მასწავლებლის მიზანია შეაფასოს სტუდენტთა ცოდნა სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფის შესახებ.

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელმა შესაძლებელია შეფასების მიმართულებად და ინსტრუმენტად, წერიტი გამოკითხვა და სტუდენტთა ტესტირება განსაზღვროს. სამუშაოდ კი სტუდენტებს ერთი საათი მისცეს, რამდენადაც პროფესიულის მასწავლებელმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დარწმუნებით იცის, რომ მის მიერ შემუშავებული ტესტი ერთ საათიან მუშაობას მოითხოვს.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს, აღნიშნული ტესტის შესასრულებლად 2 საათსა და ერთი შესვენების უფლებას მისცემს, მისი განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, (მაგ. დისლექსია - სტუდენტს სჭირდება მეტი დრო კითხვისთვის ან ხელის ფუნქციის შეზღუდვა - სტუდენტს სჭირდება მეტი დრო და დასვენება წერიტი დავალების შესასრულებლად), საქმე აკომოდაციასთან გვექნება.

შეიცვალა შეფასების პროცესი - გახანგრძლივდა შეფასების დრო, უცვლელია შეფასების მიზანი, სტუდენტი მუშაობს ჯგუფისთვის შემუშავებულ ტესტზე.

მაგალითი 2: მასწავლებლის მიზანია, შეაფასოს სტუდენტთა შესაძლებლობა მოამზადონ სამი სახეობის კერძი მინიმალურ დროში (1 საათი) არსებული ინგრედიენტების გამოყენებით.

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელი იხელმძღვანელებს დადგენილი შეფასების მიმართულებით და სტუდენტებს დაავალბს პრაქტიკული დავალების შესრულებას საკუთარი შეხედულებისამებრ შერჩეული ინგრედიენტებით. ამავდროულად, ის შეფასების პროცესში მკაცრად გააკონტროლებს სამუშაოდ განსაზღვრულ დროს და სტუდენტებს დავალების დასრულებას მკაცრად ერთ საათში მოსთხოვს.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს სამუშაოდ მისი საჭიროების გათვალისწინებით (ხელის ფუნქციის შეზღუდვა) 2 საათს და დასვენების შესაძლებლობას მისცემს, საქმე შეფასების მოდიფიკაციასთან გვექნება, რადგან მოდულის სტანდარტული ჩანაწერის თანახმად, შესრულების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სამუშაოს სწრაფად და კონკრეტულ დროში შესვენების გარეშე შესრულება; ამგვარად, სწორედ ეს ძირითადი მოთხოვნა შეიცვალა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის.

ნაწერის ნაცვლად აუდო ჩანაწერის შექმნა ან ზეპირი გამოკითხვა

მაგალითი 1: მასწავლებლის მიზანია, შეაფასოს უცხო ენაზე წერითი უნარ-ჩვევები, საინფორმაციო წერილობითი ბარათის შექმნის ფონზე.

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელმა სტუდენტებს შესაძლებელია დაავალოს ინგლისურენოვანი მენიუს შექმნა.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს მისი საჭიროების გათვალისწინებით (მაგ.: აუტისტური სპექტრის აშლილობა და უცხოურ ენაზე მხოლოდ საუბრის უნარი, წერის შეუძლებლობა), განსხვავებულ დავალებას მისცემს, მაგალითად, სთხოვს, ინგლისურენოვანი აუდიო ჩანაწერის განხორციელებას, სადაც სტუდენტს დაევალება ჩამოთვალოს მენიუში მოცემული კერძები, ნაცვლად წერილობითი დავალებისა, საქმე მოდიფიკაციასთან გვექნება.

ამ შემთხვევაში შეიცვალა, შეფასების მიზანი - შეფასდა უცხო ენაზე არა წერითი, არამედ - ზეპირი მეტყველების უნარი.

მაგალითი 2:

მასწავლებლის ამოცანაა გადაამოწმოს შეიძინეს თუ არა სტუდენტებმა თეორიული ცოდნა ფუტკრის ცხოვრების წესის შესახებ.

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელმა სტუდენტთა ჯგუფის შეფასება შესაძლებელია ტესტის საფუძველზე გადაწყვიტოს. სტუდენტებს მოუწევთ ღია შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა.

იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი გაითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საჭიროებებს (მაგ.: მოტორული სირთულეები წერის დროს ან კითხვის სირთულეები დისლექსიის გამო) და მას ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე შეაფასებს, საქმე აკომოდაციასთან გვექნება რადგან მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელი მიზანი არ შეცვლილა, ცვლილება განიცადა მხოლოდ ცოდნის გამოხატვის ფორმამ.

შეფასების პროცედურის დადგენა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის

როგორც არაერთგზის აღინიშნა, იმ შემთხვევაში, თუკი სასწავლო პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიმდინარეობს, მისი შეფასება ვერ იქნება ჯგუფისთვის განსაზღვრული შეფასების იდენტური.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი შეფასდება მისთვის დადგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან - ინდივიდუალურ სწავლის შედეგებთან და შესრულების კრიტერიუმებთან მიმართებით (და არა სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან მიმართებაში).

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს, სტუდენტისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და შესრულების კრიტერიუმებს.

პროფესიული პროგრამა: **ინფორმაციის ტექნოლოგია**
 მოდული: რაოდენობრივი წიგნიერება

სწავლის შედეგები N3	სტანდარტული შესრულების კრიტერიუმები	შეფასების მიმართულება
სტანდარტული 3. მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების ინტერპრტირება	სტანდარტული 1. სწორად განმარტავს მონაცემთა შეგროვების ხერხებს; 2. სწორად განმარტავს თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობას; 3. დავალების შესაბამისად განასხვავებს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს;	სტანდარტული წერილობითი გამოკითხვა - ტესტი ღია შეკითხვებით

	<p>4. დავალების შესაბამისად განმარტავს მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების მნიშვნელობას;</p> <p>5. დავალების შესაბამისად მონაცემთა გრაფიკულ გამოსახულებას უკეთებს მარტივ ინტერპრეტირებას.</p>	
<p>ადაპტირებული - მოდიფიცირებული</p> <p>3. განასხვავებს და განმარტავს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს</p>	<p>ადაპტირებული / მოდიფიცირებული</p> <p>1. ჩამოთვლის მონაცემთა შეგროვების ხერხებს.</p> <p>2. სწორად განმარტავს თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობას;</p> <p>3. განასხვავებს ერთმანეთისგან თვალსაჩინოდ მოცემულ თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს.</p> <p>4. _____</p> <p>5. _____</p>	<p>ადაპტირებული</p> <p>ზეპირი გამოკითხვა</p>

ცხრილის დეტალური ანალიზის საფუძველზე აღმოვაჩინეთ, რომ სტუდენტისთვის სასწავლო პროცესში განსაზღვრული იყო მნიშვნელოვნად ადაპტირებული (ამ შეთხვევაში მოდიფიცირებული) სწავლის შედეგები, მნიშვნელოვანი ცვლილებები აქვს განცდილი შესრულების კრიტერიუმებსაც:

- პირველის შესრულების კრიტერიუმი დაზუსტებულია - მოდიფიცირებულია
- მეორე შესრულების კრიტერიუმი უცვლელად არის დატოვებული
- მესამე შესრულების კრიტერიუმი დაზუსტებულია - მოდიფიცირებულია
- მეოთხე და მეხუთე შესრულების კრიტერიუმები სტუდენტისთვის განსაზღვრული არ არის - გამოტოვებულია

აღნიშნულის გათვალისწინებით, მასწავლებლის ამოცანაა ისეთი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული (მორგებული) იქნება სტუდენტისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების და შესრულების კრიტერიუმების გამოსავლენად.

ქვემოთ მოცემული შეფასების ფურცელი ასახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შესაფასებლად განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, შესრულების კრიტერიუმებს და შესაბამისად შემუშავებულ ინსტრუმენტს - კითხვარს.

შეთანხმებულია ხარისხის მართვის მენეჯერი	
შეფასების ფურცელი	
საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:	
პროგრამა:	ინფორმაციის ტექნოლოგია
მოდულის სახელწოდება	რაოდენობრივი წიგნიერება
სარეგისტრაციო ნომერი:	0020103

სწავლის შედეგი 3:	მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების ინტერპრეტაცია
ინდივიდუალური სწავლის შედეგი 1:	განასხვავებს და განმარტავს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს

შეფასების მიმართულება:	გამოკითხვა
შეფასების ინსტრუმენტი:	ზეპირი გამოკითხვა
შეფასების მტკიცებულება :	შეფასების ფურცელი

#	შესრულების სტანდარტული კრიტერიუმები	შესრულების მოდიფიცირებული კრიტერიუმები	შედეგი
1	სწორად განმარტა მონაცემთა შეგროვების ხერხები.	ჩამოთვლის მონაცემთა შეგროვების ძირითად ხერხები.	<input checked="" type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
2	სწორად განმარტა თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობა.	სწორად განმარტავს თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობა.	<input checked="" type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
3	დავალების შესაბამისად განასხვავა თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემები.	განასხვავა/ თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
4	დავალების შესაბამისად განმარტა მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების მნიშვნელობა.	1. -----	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input checked="" type="checkbox"/> არ დადასტურდა
5	დავალების შესაბამისად მონაცემთა გრაფიკულ გამოსახულებას გაუკეთა მარტივი ინტერპრეტირება.	2. -----	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input checked="" type="checkbox"/> არ დადასტურდა

კრიტერიუმი	კითხვები
1	1. მონაცემთა შეგროვების ხერხებია:
2.	2.1.რას ეწოდება მონაცემთა მოდა?
	2.2.რას ეწოდება მონაცემთა მედიანა?
	2.3.რას ეწოდება მონაცემთა გაბნევის დიაპაზონი?
	2.4.რას ეწოდება მონაცემთა საშუალო?
3	3.1.დაასახელეთ მონაცემთა მინიმუმ ორი რაოდენობრივი მახასიათებელი?
	3.2.ჩამოთვალეთ მინიმუმ ორი მეთოდი ,რომელთა მეშვეობითაც ხდება თვისობრივი მონაცემების შეგროვება?

პასუხის ცხრილი

N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა
1.1			2.1			2.2			2.3			2.4			3.1			3.2		

პროფესიული განათლების მასწავლებელი: -----

აღნიშნული შეფასების ინსტრუმენტის ანალიზის შედეგად, ნათლად ჩანს, რომ სტუდენტისთვის ინდივიდუალურად განისაზღვრა პირველი შესრულების კრიტერიუმი; მას არ მოეთხოვება მე-4 და მე-5 შესრულების კრიტერიუმების დაკმაყოფილება; მე-2 შესრულების კრიტერიუმის დაკმაყოფილება კი მოუწევს იმგვარად, როგორც მის ჯგუფელებს.

კიდევ ერთი ნიმუში სტუდენტისთვის მოდიფიცირებული შეფასების ფურცლის და ინსტრუმენტის გათვალსაზიარების მიზნით:

დანართი N4

შეთანხმებულია
ხარისხის მართვის მენეჯერი

შეფასების ფურცელი

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:	
პროგრამა:	ზეინკალ - სანტექნიკოსი
მოდულის სახელწოდება	გაცნობითი პრაქტიკა
სარეგისტრაციო ნომერი:	0730301

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:	
შეფასების თარიღი:	
შეფასების ადგილი:	A გარემო
შემფასებლის სახელი, გვარი:	

სწავლის შედეგი 1:	პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა
ინდივიდუალური სწავლის შედეგი 1:	პროფესიის ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა

შეფასების მიმართულება:	გამოკითხვა
შეფასების ინსტრუმენტი:	წერილობითი გამოკითხვა
შეფასების მტკიცებულება :	სტუდენტის მიერ შესრულებული ნამუშევარი /ტესტი

#	შესრულების სტანდარტული კრიტერიუმები	შესრულების მოდიფიცირებული კრიტერიუმები	შედეგი
1	განმარტა პროფესიის არსი და პროფესიული ვალდებულებები	დაასახელა / ამოიცნო პროფესიის საქმიანობა ილუსტრაციაზე	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
2	ჩამოთვალა დასაქმების შესაძლებლობები	ამოიცნო დასაქმების შესაძლებლობები მისი პროფესიის შესაბამისად ილუსტრაციაზე	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
3	განახორციელა კონკრეტულ სამუშაოებთან მიმართებაში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირება	ამოიცნო კონკრეტულ სამუშაოებთან მიმართებაში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნები.	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
4	მოიძია დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითად არხებზე დაყრდნობით	ამოიცნო/ დაასახელა სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების საძიებო ვებ. გვერდი.	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
5	აღწერა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ შრომითი ურთიერთობების ნორმები.	ამოიცნო/ დაასახელა შრომითი ურთიერთობების ნორმების ამსახველი ილუსტრაცია პროფესიის შესაბამისად	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა

სწავლის შედეგის მიღწევა	<input type="checkbox"/> დადასტურდა <input type="checkbox"/> არ დადასტურდა
-------------------------	---

ხელმოწერა:

მოდულის მასწავლებელი

ტესტი

1. ზეინკალ - სანტექნიკოსის პროფესიის არსი და პროფესიული ვალდებულებები მდგომარეობს იმაში, რომ:

- სპეციალისტმა დაამონტაჟოს ყველა სანტექნიკური დანადგარი ხარისხიანად და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.
- სპეციალისტმა დაამონტაჟოს ელექტროობა ხარისხიანად და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.
- სპეციალისტმა კედელზე მიაკრას თაბაშირმუყაოს ფილა ხარისხიანად და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.
- სპეციალისტმა შეაკეთოს დაზიანებული ხის კონსტრუქცია ხარისხიანად და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.

მონიშნეთ ზეინკალ - სანტექნიკოსის სამუშაოს ამსახველი ფოტო



2. ა) სად შეიძლება დასაქმდეს ზეინკალ-სანტექნიკოსი?

- სუპერმარკეტში მოლარე ოპერატორად
- სუპერმარკეტში მოლარე ოპერატორად
- ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში ნებისმიერ პოზიციაზე
- ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში ზეინკალ სანტექნიკოსად პოზიციაზე

2. ბ) სად არ შეიძლება დასაქმდეს ზეინკალ-სანტექნიკოსი?

- გემზე
- სანტექნიკის მაღაზიაში
- იყოს თვითდასაქმებული
- ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში

მონიშნეთ ზეინკალ - სანტექნიკოსის სამუშაოს ამსახველი ფოტო



3. საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები ზეინკალ-სანტექნიკოსის პროფესიის მიმართ არის:

- უნდა ჰქონდეს მაღალი კვალიფიკაციის დონე მოცემულ სფეროში
- უნდა საუბრობდეს ინგლისურად
- დამკვეთთან უნდა იყოს კომუნიკაბელური
- სასურველია ფლობდეს ელექტრიკოსის პროფესიულ კვალიფიკაციასაც

4. სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია

<http://www.jobs.ge>

<http://www.gmail.com>

<http://usa2georgia>



5. შრომითი ურთიერთობების განმსაზღვრელი აუცილებელი პირობაა

- დამსაქმებელისა და დასაქმებული პირის თანასწორუფლებიანობა.
- დასაქმებული ზეინკალ სანტექნიკოსი იყოს მამაკაცი
- დასაქმებული ზეინკალ-სანტექნიკოსი იყოს ეთნიკურად ქართველი
- დასაქმებული ზეინკალ-სანტექნიკოსი შრომობდეს შესვენების გარეშე, თუკი ამას დამსაქმებელი სთხოვს

პასუხის ცხრილი

N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	N	კი	არა	
1			2.1			2.2			3			4			5			6			

პროფესიული განათლების მასწავლებელი: _____

აღნიშნული შეფასების ფურცელი ცხადყოფს, რომ მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში განსაზღვრული იყო მოდიფიცირებული სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები, შემუშავებული ტესტი კი იმგვარად არის ფორმირებული, რომ გადაამოწმოს, დასძლია თუ არა სტუდენტმა ის მოთხოვნები, რაც ინდივიდუალურად მისთვის იყო დასახული.

